ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№86

(გაერთიანებული სხვა კომისიებთან)

ქ. თბილისი; 1 ივნისი, 2021 წ. 13 : 00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
ნინო რუხაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ქეთევან მამულაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - **გაიოზ თალაკვაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები - **ოთარ ჩიტიძე/ვასილ აბულაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი - **მარიამ ჩივაძე**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ხელმძღვანელი - **გიგა სოფრომაძე**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე - **თინათინ ნიბლოშვილი**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „ქ. თბილისში, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ნაკვეთი 39/002, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1 827 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასათვის" (ს/ნ: 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა თამარ მეფე, ჩიხი II, კორპუსი 10-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.052.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. "ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი 5-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.006.05.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. "ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარლის, N104; N106; N108 (უბანი N6)-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.022.005.03.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. "ქალაქ თბილისში, ქუჩა მინდელი, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.075.01.533) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, ვასაძის ქუჩაზე არსებული 44 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.11.12.018.107) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კა-ემ-სისთვის" (ს/ნ:405423590) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის

შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. **„ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.441, N01.19.24.007.442, N01.19.24.007.443) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

9. „ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.006.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 11 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის N ე-297-15-17432 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

11. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 1333 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.19.422) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

13. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს“ დადგენილების პროექტი.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

15. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–135[2] მუხლებით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით, 135[4] და 135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის №81-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

16. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმა.

18. „ქალაქ თბილისში სკოლებს შორის ერთჯერადი კონკურსის „პანდემია, როგორც შესაძლებლობა“ ჩატარებისა და შესაბამის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა N 51 (ს/კ N01.10.15.023.027; N01.10.15.023.006; N01.10.15.023.018; N01.10.15.023.026) დაინტერესებული პირების - შპს „საირმე პალასის“ (ს/ნ 404888092), შპს „აქსის გრუპის“ (ს/ნ 404954117), შპს „აქსისის“(ს/ნ 211393357) მიმართ, ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N26 (ს/კ N01.10.17.002.006) დაინტერესებული პირის - იმა „აქსისი პალასი 2“-ის (ს/ნ 205090391) მიმართ, ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N12 (ს/კ N01.10.17.002.022) დაინტერესებული პირის - იმა „აქსისი პალასი“-ს (ს/ნ 205041033) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ლევან ხაბეიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გაიოზ თალაკვაძემ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

გაიოზ თალაკვაძის ინფორმაციით, დედაქალაქის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება **216,5 ათასი ლარით და შეადგენს 1 191 526,8 ათას ლარს.** მისივე თქმით, ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მისაღები შემოსავლების პროგნოზების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება გრანტების ნაწილში საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები. ამასთან, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები.

როგორც **გაიოზ თალაკვაძემ** განმარტა, აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა რეკონსტრუქცია – 1 000,0 ათასი ლარი,
- კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში – 466,1 ათასი ლარი,
- კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში – 350,0 ათასი ლარი,
- ქალაქის განვითარების ხელშეწყობა - 216,5 ათასი ლარი,
- სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში – 200,0 ათასი ლარი,
- ისნის რაიონის გამგეობა – 100,0 ათასი ლარი.

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის თქმით, მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში – 67,0 ათასი ლარი,
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში – 343,2 ათასი ლარი,

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში - 450,0 ათასი ლარი,
- წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება საბურთალოს რაიონში - 200,0 ათასი ლარი,
- სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მშენებლობა – 1 000,0 ათასი ლარი.
- კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში – 55,9 ათასი ლარი.

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** აღნიშნა, დაზუსტდა საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა - ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა, გაიზარდა 56 ერთეულით და შეადგენს 302 ერთეულს.

დასასრულს, **გაიოზ თალაკვაძემ** განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 122 092,6 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 073 949,4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 53 969,8 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს:

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ - **გიორგი ჩაკვეტაძემ** აღნიშნა, რომ წლის განმავლობაში დედაქალაქის მთავარ საფინანსო დოკუმენტში განხორციელებული ტექნიკური ცვლილებების შედეგად, დროებით შეჩერდება, წყნეთის გზატკეცილზე არსებული სპორტული მოედნის მოწყობა, რის შედეგად გამონთავისუფლდება 1 000,0 ათასი ლარი. მისივე თქმით, აღნიშნული პროექტი აუცილებლად გაგრძელდება უახლოეს მომავალში.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტის** მითითება. ამასთან, სასურველია, სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში მიეთითოს **„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ**, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ნაკვეთი 39/002, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული **1 827 კვ.მ.** ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასთვის" (ს/ნ: 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის, განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის უზრუნვრლყოფა, მათ მიმართ არსებული ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე, მოქალაქეთა მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გამოცხადებულ იქნა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ **1 827 კვ.მ** მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა. მისივე თქმით, აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში გაიმარჯვა **შპს „არომამ"**, რომელიც, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს (ჯამში 13 პირი) ჯამურად გადასცემს **1 000 კვ.მ-ის** ფართს (თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. ამასთან, ირაკლი თავართქილაძის თქმით, აღნიშნულმა კომპანიამ წარმოადგინა, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია **100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით.**

ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, კოოპერატივის წევრებისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემა მოხდება პრივატიზების ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** აღნიშნული პირები საკუთრებაში მიიღებენ, **1 827 კვ.მ** მიწის ნაკვეთიდან მთავრობის შესაბამისი

განკარგულებით გათვალისწინებული შესაბამის წილს, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის უძრავი ქონების მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით. ამასთან, ხელშეკრულების შესაბამისად, კოოპერატივის წევრები მიწის ნაკვეთიდან მათ კუთვნილ წილებზე საკუთრების უფლებას გადასცემენ კომპანიას და მიწის ნაკვეთზე სრულად დარეგისტრირდება კომპანიის საკუთრების უფლება.

დასასრულს, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა სარეიტინგო ქულების შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ პროექტში გათვალისწინებულია ის პირები, რომლებსაც აღნიშნული სიის ფორმირების ეტაპისთვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია და მათი სარეიტინგო ქულა, სხვა პირებთან შედარებით, რიგითობით დაბალი იყო.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ მოიწონა აღნიშნული პროექტი და მიესალმა იმ ფაქტს, რომ პროექტის განხორციელების შედეგად დაკმაყოფილდება ცამეტი ოჯახი. მისივე თქმით, წარმოდგენილი პროექტის განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ადამიანებისათვის.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების **პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ასევე მიეთითოს,** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, რიგი განკარგულებათა პროექტები, დედაქალაქის რამდენიმე რაიონში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის თაობაზე, მათ შორის მომხსენებელმა ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-3 საკითხზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიხედვით, ვაკის რაიონის გამგეობის რეკომენდაციის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე **151.00 კვ.მ** მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, პირდაპირი განკარგვის

ფორმით, პრივატიზების გზით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე **ავთანდილ მჭედლიძეს,** რომელიც **1990 წლიდან დღემდე** ოჯახთან ერთად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს შესაბამისი წერილით, წყნეთის საუბნო განყოფილების წერილზე თანდართული სხდომის ოქმითა და შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

დასასრულს, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, ასევე მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“**, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. ამასთან, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი გასწორდეს და ასევე ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. დღის წესრიგით გათვალისწინრბულ **მე-4** საკითხთან დაკავშირებით, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ საბურთალოს რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში მდებარე **64.43 კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად,** საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე დავით ღვანიძეს, რომელიც 30 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე,** რაც დასტურდება ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს წერილითა და შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

დასასრულს, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით.

თავმჯდომარის განმარტებით, ასევე, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად"**, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. ამასთან, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი გასწორდეს და ასევე ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალიწინებულ **მე-5** საკითხს, **ირაკლი თავართქილაძის** თქმით, ისნის რაიონის გამგეობის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩაზე მდებარე **50.46** კვ.მ ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზებით საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე **მარიეტა სვანაძეს,** რომელიც დაახლოებით **31 წელია** ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავი ქონებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებით დასტურდება, რომ, მარიეტა სვანაძე **1990 წლიდან** დღემდე ნამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე ბინაში. ამასთან, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს წერილზე თანდართული ოქმის თანახმად, აღნიშნული პირი ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

დასასრულს, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, ასევე მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური, **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“**, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. ამასთან, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი გაიმართოს ტექნიკურად და ასევე ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ირაკლი თავართქილაძის თქმით, მე-6 საკითხად წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესაბამისად, ვაკის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მინდელის ქუჩა N5-ში მდებარე **81.52 კვ.მ უძრავი ქონება,** პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1(ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე ვახტანგ ჯომარდიძეს.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებების თანახმად **ვახტანგ ჯომარდიძე** მინდელის ქუჩა N5-ში მდებარე ფართში ცხოვრობს **2002 წლიდან.** ამასთან, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების წერილის მიხედვით, აღნიშნული მოქალაქე **1997 წლიდან დღემდე,** ოჯახთან ერთად ნამდვილად ცხოვრობს დაინტერესებაში არსებულ ფართში.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ შესაბამის უწყებებში წარდგენილია ქ.თბილისის მერიის ადგილობრივი მმართველობის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამბეობის 2002 წლის 13 ივნისის წერილი, რომლის თანახმად ვაკე-საბურთალოს გამგეობის მიერ საცხოვრებელ მდგომარეობაში იქნა მოყვანილი მინდელის ქუჩა N5-ში **„სოფლის აღორძინების ფონდის“** ხელმძღვანელობის მიერ იჯარით აღებული ფართის ნაწილი-380 კვ.მ ფართი, სადაც მიწისძვრის შედეგად დაზარალებული 4 ოჯახი მათ შორის ვახტანგ ჯომარდიძე თავისი ოჯახით იქნა შესახლებული.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, ასევე მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“**, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. ამასთან, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი გასწორდეს და ასევე ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივი, ვასაძის ქუჩაზე არსებული 44 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N 01.11.12.018.107) შპს „კა-ემ-სისთვის“ (ს/ნ:405423590) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **ქალაქ** თბილისში, გლდანის მასივი, ვასაძის ქუჩაზე არსებული **44 კვ.მ** მიწის ნაკვეთის, შპს „კა-ემ-სისთვის“, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის** მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრა **5 (ხუთი)** წლით
- ✓ ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასური, ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით, განსაზღვრულია **7920 (შვიდი ათას ცხრაას ოცი) ლარით.**

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს, ქ. თბილისში, აკაკი ვასაძის ქუჩა N16ა-ს მიმდებარედ არსებული უძრავი ქონებას **5 წლის ვადით.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული 8-ე საკითხის განხილვის გადადება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლისა და დამატებითი მასალების წარმოდგენის მიზნით. თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული 8-ე საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს:

9. ირაკლი თავართქილაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული **მე-9 საკითხი** და აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა N36-ში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1(ერთი)** ლარად საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქეებს:** ეკატერინე ტყებუჩავა - **20 კვ.მ;** გუგული დავითაძე - **51.50 კვ.მ;** ნათია წულაია - **20.80 კვ.მ.** რომლებიც **1993-2000** წლებიდან ცხოვრობენ დაინტერესებაში არსებულ ფართებში, რაც დასტურდება, დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებითა და შესაბამისი გამგეობის შემოწმების აქტებით.

ირაკლი თავართქილაძემ იქვე აღნიშნა, რომ სააგენტოში წარდგენილი შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის IV განყოფილების წერილებით, დასტურდება, რომ გუგული დავითაძე და ნათია წულაია მითითებულ მისამართზე ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ **2002** წლიდან, ხოლო ეკატერინე ტყებუჩავა - **2005** წლიდან.

დასასრულს, **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე და მათი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ** არის.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, ასევე მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად"** და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. ამასთან, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი გასწორდეს და ასევე ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ირაკლი თავართქილაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოადგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 11 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-297-15-17432 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს: სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და **შპს „მექანის"** შორის 2016 წლის 11 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული „ბ" პუნქტის **„საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის განთავსების პირობით"** გაუქმებას.

როგორც **ირაკლი თავართქილაძემ** აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 26 თებერვლის აუქციონში გამარჯვებულ პირად გამოცხადდა **გიორგი დათიაშვილი** და მასთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, აუქციონში გამარჯვებულ პირს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ისანში, ვაზისუბანი III მ/რ, კვარტალი მე-2, N15 კორპუსის მიმდებარედ არსებული **388 კვ.მ მიწის ნაკვეთი** (საკადასტრო კოდი: 01.17.07.009.016). ქონების საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა **34,402** (ოცდათოთხმეტი ათას ოთხას ორი) **ლარი.**

ირაკლი თავართქილაძემ იქვე დასძინა, რომ ხელშეკრულების „ბ" პუნქტის თანახმად, საპრივატიზებო ობიექტი განიკარგა შეზღუდვით - **„საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის განთავსების პირობით"** .

სააგენტოს ხელმძღვანელის განმარტებით, საპრივატიზებო ობიექტი გაერთიანებულია მომიჯნავე მიწის ნაკვეთებთან, N01.17.07.009.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის

ნაკვეთში, შესაბამისად, საპრივატიზებო ობიექტზე გასხვისებისას არსებული **შეზღუდვა ასახულია** საჯარო რეესტრიდან ამონაწერში. ამასთან, მითითებული მიწის ნაკვეთის ამჟამინდელ მესაკუთრეს წარმოადგენს **შპს „მექანი“.**

მომხსენებლის თქმით, მესაკუთრემ მიმართა სააგენტოს და მოითხოვა საპრივატიზებო ობიექტზე არსებული შეზღუდვის **გაუქმება**. კომპანიის განცხადებით, ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს **მომატებული აქვს კ-1 და კ-2 კოეფიციენტები**, ასევე, მიწის ნაკვეთზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში ატვირთულია პროექტი. ამასთან, კომპანიასა და სააგენტოს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციანეტის გადამეტების გამო, კომპანია ვალდებულია მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცეს ნამატი ფართის 10%, კერძოდ, **247.14 კვ.მ საცხოვრებელი ფართი**. ასევე, მიმდინარე ეტაპზე, ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე **შეთანხმებულია/დამტკიცებულია** მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გაპი) მრავალბინიანი საცხოვრებელი დანიშნულების შენობის განთავსების მიზნით. ამასთან, კომპანიის მიერ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე უნდა მოეწყოს სკვერი, შენობის ნაწილზე გათვალისწინებულია კომერციული დანიშნულების ფართის მოწყობა. შესაბამისად, მყიდველის მიერ ვერ ხორციელდება პრივატიზებული ქონების სრულად საზოგადოებრივი ფუნქციით ათვისება.

როგორც **ირაკლი თავართქილაძემ** თხრობისას აღნიშნა, კომპანიას ეცნობა, რომ საპრივატიზებო ობიექტის ღირებულება შეფასდა და შემდგომ საჯარო აუქციონზე განიკარგა განსაზღვრული მიზნობრიობით/ვალდებულებით, ხოლო კომპანიის მიერ მოთხოვნილი ცვლილებით **შესაძლებელია გაუმჯობესდეს**, როგორც ქონების ღირებულება, ასევე მესაკუთრის მდგომარეობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებულმა პირმა წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნები, რომლის მიხედვით, **388 კვ.მ მიწის ნაკვეთის** სრულ საპრივატიზებო საფასურსა (34,402 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის შეზღუდვის გარეშე ღირებულებებს შორის **სხვაობა**, 2020 წლის 26 ნოემბრის მდგომარეობით **შეადგენს 51,465** (ორმოცდათერთმეტი ათას ოთხას სამოცდახუთი) **ლარს.**

დასასრულს, **სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა** აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის 10 ივნისის დასკვნის შესაბამისად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებაზე თანხმობის გაცემა, მუნიციპალიტეტის საბინაო ვალდებულებებთან თავსებადი ახალი მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენებითაა მიზანშეწონილად მიჩნეული და სწორედ აღნიშნულის გამო გაზრდილია ზემოაღნიშნული საკადასტრო ერთეულის კ-1 და კ-2 კოეფიციენტები, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოსთან 2020 წლის 14 აპრილს გაფორმებულია „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება“, რომლის შესაბამისად კომპანიამ იკისრა

ვალდებულება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცეს 247.14 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ხოლო აღნიშნულისა და მყიდველის მიერ წარდგენილი არქიტექტურული პროექტის შესაბამისად ვერ ხორციელდება პრივატიზებული ქონების სრულად საზოგადოებრივი ფუნქციით ათვისება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს 2016 წლის 11 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების „ბ" პუნქტით განსაზღვრული პირობის გაუქმებას იმ პირობით, **რომ შპს „მექანი"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში **გადაიხდის** ფასთა შორის სხვაობას **51,465 (ორმოცდათერთმეტი ათას ოთხას სამოცდახუთი) ლარის ოდენობით.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა, ირაკლი თავართქილაძემ, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოადგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 1333 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.19.422) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესაბამისად, ხორციელდება მონაცვლეობა, კერძოდ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **1333 კვ.მ** მიწის ნაკვეთი იცვლება, მოქალაქე არმაზი ასლამაზაშვილის საკუთრებაში არსებულ **ქალაქ თბილისში წყნეთის ტერიტორიაზე მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი: 01.20.01.012.068**).

როგორც **მომხსენებლმა** განმარტა, აღნიშნული მონაცლეობა ხორციელდება იმ მოტივით, რომ არმაზი ასლამაზაშვილის მიწის ნაკვეთზე ახალი გენერალური გეგმის მიღებამდე ვრცელდებოდა **საცხოვრებელი ზონა 1**, ხოლო ახალი გენერალური გეგმით აღნიშნულ უძრავ ქონებას მიენიჭა **სატყეო ზონის სტატუსი,** რითიც გამოირიცხა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება. ამასთან, **ირაკლი თავართქილაძის** თქმით, მოქალაქე არმაზი ასლამაზაშვილს უარი ეთქვა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით ცვლილების თაობაზე.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ აღნიშნული მოქალაქის მითითებით, თუ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება აღემატება

გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას, მოქალაქე გადაიხდის სხვაობის არანაკლები ოდენობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ საპრივატიზებო საფასურს.

მომხსენებელმა ასევე გააჟღერა სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია, რომლის თანახმადაც, სააგენტოს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია მიწის ნაკვეთის განკარგვა და მისი შემდგომი სამშენებლო განვითარება მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად. ამასთან, ირაკლი თავართქილაძის თქმით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციის მიხედვით, სამსახური თანახმაა დაბა კოჯორში მდებარე **1333 კვ.მ** მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ მუნიციპალიტეტმა საკუთრებაში მიიღოს ქალაქ თბილისში წყნეთის ტერიტორიაზე მდებარე **1000 კვ.მ** მიწის ნაკვეთი.

ირაკლი თავართქილაძემ კომისიის წევრებს გააცნო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებები, რომლის მიხედვით:

- ✓ **1000 კვ.მ.** უმრავი ქონება (მოქალაქე არმაზი ასლამაზაშვილის საკუთრება) შეფასდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე მოქმედი ფუნქციური ზონის - საცხოვრებელი ზონა 1-ის გათვალისწინებით. შესაბამისად, 2020 წლის 7 დეკემბრის მდგომარეობით **1000 კვ.მ** მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა **50 000 (ორმოცდა ათი ათასი) აშშ დოლარით - 165 575 (ას სამოცდახუთი ათას ხუთას სამოცდათხუთმეტი) ლარი.**

- ✓ ექსპერტიზის დასკვნით, **1333 კვ.მ** მიწის ნაკვეთის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება) მთლიანი საბაზრო ღირებულება 2021 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა **175 956 (ას სამოცდათხუთმეტი ათას ცხრაას ორმოცდათექვსმეტი) ლარით.**

თხრობის დასასრულს, **სააგენტოს ხელმძღვანელმა** აღნიშნა, რომ უმრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება **10 800 (ათი ათას რვაასი) ლარი,** როგორც საექსპერტო შეფასებებით განსაზღვრულ საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობა და მისი გადახდა განხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვის ვადაში.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის პირველ მუხლში უნდა მიეთითოს საპრივატიზებო საფასური - **10 800 (ათი ათას რვაასი) ლარი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **ოთარ ჩიტიძემ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **№14-39** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №14-39 დადგენილებაში, კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების **მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტსა და დანართი N1-ის მე-8, მე-9 პუნქტებში** შედის ცვლილებები სარეკრეაციო ზონებში საგამონაკლისოდ დასაშვებ სახეობებთან დაკავშირებით. ცვლილების მიხედვით, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-სა და სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)-ში სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით **დასაშვები ხდება ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის მოწყობა.**

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები განპირობებულია იმით, რომ სწორი ურბანული ქსოვილის ჩამოყალიბებისთვის მნიშნელოვანია ტერიტორიის უზრუნველყოფა შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით. კერძოდ, განაშენიანების რეგულირების წესების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

დასასრულს, **მომხსენებელმა** განმარტა, რომ დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე. ამასთან, აღნიშნული დადგენილება **ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - **ნინო რუხაძემ,** მომხსენებლის მიმართ დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, იმის თაობაზე, რომ წარმოდგენილი

ცვლილება შეეხებოდა მხოლოდ ობიექტებამდე მისასვლელ სამანქანო და საფეხმავლო გზებს, რაზეც **მომხსენებელმა** მიიღო დადებითი პასუხი.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **ოთარ ჩიტიძემ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით წარმოდგენილი დადგენილების პროექტით ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №39-18 დადგენილების **პირველი მუხლის „ა" პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა"** და **პირველი მუხლის „ა" პუნქტის „ა.ლ" ქვეპუნქტით** დამტკიცებული „თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების **რუკაში".** ასევე, ცვლილება ხორციელდება დადგენილების **პირველი მუხლის „ბ" პუნქტით** დამტკიცებული **„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის" (დანართი N2) 72-ე მუხლის მე-2 პუნქტში და მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში.**

საკითხის წარმომდგენის თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტურ და გრაფიკულ ნაწილებში ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

- ✓ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი N5-ის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019-2023 წლების სამოქმედო გეგმას წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიერ (დანართი N4) იდენტიფიცირებული არეალებისათვის კვლევების, განვითარების ხედვის და

ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ეტაპობრივი დამუშავება მუნიციპალიტეტის მიერ დაზუსტებული პრიორიტეტებისა და რიგითობის მიხედვით;

- ✓ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილ არეალებთან დაკავშირებით სამუშაოები ეტაპობრივად მიმდინარეობს და აღნიშნული ღონისძიებების შესაბამისად, ცვლილებებიც ხორციელდება კანონმდებლობაში.

როგორც **ოთარ ჩიტიძემ** აღნიშნა, კონკრეტულად ვარკეთილის მასივის ქალაქგეგმარებითი არეალის შემთხვევაში, არსებულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ მოცემულ არეალში დადგენილი რეჟიმი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ტერიტორიის დაგეგმარება მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად იყო შესაძლებელი, გადაულახავ წინააღმდეგობას წარმოადგენდა არეალში არსებული მიწის ნაკვეთების სამშენებლო განვითარებისთვის. ასევე, მუნიციპალიტეტის მხრიდან აღნიშნულის განხორციელება წარმოადგენს საკმაოდ ხანგრძლივ პროცესს, რომელიც მოითხოვს მთელი რიგი მასშტაბური სამუშაოების ჩატარებასა და ამავდროულად, ბიუჯეტიდან დიდი ხარჯების გამოყოფას. შესაბამისად, უმჯობესია ტერიტორიის განვითარება შესაძლებელი გახდეს კერძო პირების მიერ დამუშავებული განაშენიანების რეგულირების გეგმებით, თუმცა არა ქაოტურად, არამედ მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული პირობებისა და მითითებების შესაბამისად.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ეხება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი N2-ის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტს, კერძოდ, „MB" არეალი როგორც მუნიციპალიტეტის მიერ დასამუშავებელი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებამდე სამშენებლოდ შეზღუდული არეალი, ამოღებულ იქნება ქალაქგეგმარებითი არეალების ჩამონათვალიდან. **აღნიშნულ ტერიტორიაზე კი „MB" არეალის ნაცვლად განისაზღვრება „A" არეალი.** ასევე, ამავე დანართის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, გაიწერა ის კონკრეტული პირობები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ვარკეთილის მასივის ქალაქგეგმარებითი არეალის სამშენებლო განვითარებისას. ეს პირობები კი შემდეგია:

ა) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვრება კ-2=5.0;

ბ) ტერიტორიის სამშენებლო განვითარებისას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, პრიორიტეტი ენიჭება შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხს ან/და ტერიტორიის სტრუქტურული გეგმარებას;

გ) სამშენებლო მოცულობის 18% (შემდგომში - სამშენებლო მოცულობის პროცენტულობა) გამოყენებულ უნდა იქნეს განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში ან მის გარეთ

მესაკუთრეთა (მფლობელთა) დაკმაყოფილების ან/და მათ საკუთრებაში არსებული ფართების გამოსყიდვის მიზნით. სამშენებლო მოცულობის პროცენტულობიდან (18%) დარჩენილი ფართები, რომელიც არ იქნა გამოყენებული განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალში ან მის გარეთ მესაკუთრეთა (მფლობელთა) დაკმაყოფილების ან/და მათ საკუთრებაში არსებული ფართების გამოსყიდვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გადაეცემა საკუთრებაში.

დ) ამ პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდგომ, განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალის გარეთ გამოსასყიდი მიწის ნაკვეთების დათმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მითითებით, ხდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ან/და სახელმწიფოს სასარგებლოდ."

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - **მარიამ ჩივაძემ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოადგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის **N72-136** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N72-136** დადგენილებით დამტკიცებული **„პუპუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში"** კერძოდ:

- წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში, მე-6 პუნქტში და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ", „დ" ქვეპუნქტებში ხორციელდება ცვლილება, რითაც, ხორციელდება **წესის ფარგლებში დასაფინანსებელი მედიკამენტების - ფესგოს, ლაპატინიბის, ტრასტუზუმაბის, პერტუზუმაბს+ტრასტუზუმაბის საინექციო დოზებისა და მათი აღწერილობის ცვლილება/დაზუსტება;**

- მე-9 მუხლის პირველ პუნქტში ემატება „დ[1]" ქვეპუნქტი, რითაც ხდება **მედიკამენტ - „ფესგოს" საინექციო დოზების** - 10მლ-ს და 15მლ-ს და საინექციო ერთეულების მითითება, აგრეთვე, აღნიშნული დოზების **ღირებულებათა განფასება შემდეგი სახით:**

„დ[1]) ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მედიკამენტის „ფესგოს“ (დოზა – (600მგ+600მგ+20,000 ერთეული)/10მლ 10მლ კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი **ფლაკონი №1 4695 ლარის ტარიფით,** ხოლო იგივე მედიკამენტის (1200მგ+600მგ+30,000 ერთეული)/15მლ 15მლ კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1) ქვეპროგრამის ფარგლებში არაუმეტეს **9390 ლარის ტარიფით მიწოდება;“.**

დასასრულს, **მარიამ ჩივაძემ** აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, ხოლო დადგენილება დამტკიცების შემთხვევაში ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათ დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში გათვალისწინებულ იქნას მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ „დ[1]“ და „ე“ ქვეპუნქტებზე მითითების საკითხიც, ვინაიდან, დასაფინანსებელი მედიკამენტების ტარიფებს, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გარდა, ზემომითითებული ქვეპუნქტებიც ადგენს, **შესაბამისად, ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.**

კომისიის თავმჯდომარის თქმით, ასევე **მიზანშეწონილია,** პროექტში „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მითითებისას, ნაცვლად - ქვეპუნქტისა, მიეთითოს - ქვეპუნქტები და **ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **ვასილ აბულაძემ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოადგენილი, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–135[2] მუხლებით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით, 135[4] და 135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის №81-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, ცვლილება შედის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის №81-50 დადგენილებასა და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-17 მუხლის პირველი პუნქტში და აღნიშნული მუხლის ყალიბდება შემდეგი რედაქციით: **„ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების ადგილი აღჭურვილი უნდა იყოს ამ წესის დანართი 9-ით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კამერის გამაფრთხილებელი ნიშნით.".**

მომხსენებლის თქმით, ზემოაღნიშნული დადგენილების 17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, **„ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების ადგილი აღჭურვილი უნდა იყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კამერის გამაფრთხილებელი ნიშნით."** მისივე განმარტებით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, აღნიშნულ წესს ემატება N9 დანართი, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კამერის გამაფრთხილებელ ნიშანს განსაზღვრავს (წარმოდგენილია ფოტოგრაფიული მოდელი).

დასასრულს, **ვასილ აბულაძემ** აღნიშნა, რომ დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, ხოლო, აღნიშნული დადგენილება **ამოქმედდება** გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, ვინაიდან ცვლილება შედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შემტან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის №81-50 დადგენილებაში, რომელიც მ/წლის 1 ივნისს უკვე ძალაში შევიდა და შესაბამისად N57-52 დადგენილების ნაწილი გახდა, მიზანშეწონილია ცვლილება ნაცვლად №81-50 დადგენილებისა აისახოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში.

აღნიშნულ წინადადება/შენიშვნას დაეთანხმა საკითხის წარმომდგენი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **ვასილ აბულაძემ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოადგენილი, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს** დადგენილების **პროექტი.**

მომხსენებლის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე საჭიროდ მიიჩნევს დაიხვეწოს უფასო პარკირებით სარგებლობის უფლებები ზონალური პარკირების ადგილებზე იმ ფიზიკურ პირთათვის, რომლებსაც მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად საკუთრებაში აქვთ უძრავი ქონება. მისივე განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის მე-8 მუხლს, მე-5 პუნქტის შემდეგ, ემატება 5^1- 5^4 პუნქტები.

- 5^1 პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს, რომელიც არ იმყოფება ან იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და გარკვეული მიზეზების გამო ვერ ახერხებს რეგისტრაციას, უფლება ექნება მისი მინდობილი პირის მეშვეობით, სანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე, მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს" რეგისტრაციის თხოვნით, რათა ისარგებლოს ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული უფასო პარკირების უფლებით.

- 5^2 პუნქტის მიხდვით უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება ექნება მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს" რეგისტრაციის თხოვნით (რომელსაც უნდა დაურთოს პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტი (სათანადო წესით დამოწმებული თარგმანი), რომლის რეკვიზიტები შესაბამისობაში იქნება საჯარო რეესტრიდან ამონაწერში მითითებულთან), რათა ისარგებლოს ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული უფასო პარკირების უფლებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე მისი მინდობილი პირის მეშვეობით ისარგებლოს ამ უფლებით აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე.

- 5^3 საქართველოს მოქალაქე არასრულწლოვან პირს უფლება ექნება ორივე კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით, კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე, მიმართოს „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ რეგისტრაციის თხოვნით, რათა ისარგებლოს ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული უფასო პარკირების უფლებით. ერთი-ერთი მშობლის თანხმობა საკმარისია, თუ: მეორე მშობელი გარდაცვლილია ან უგზო-უკვლოდ დაკარგულია, მეორე მშობელი იძებნება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, მეორე მშობლის მძიმე ავადმყოფობის გამო შეუძლებელია ნების გამოხატვა, რაც დასტურდება შესაბამისი ცნობით ან არასრულწლოვანი მარტოხელა მშობლის შვილია. აღნიშნულის შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.

- 5^4 იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილია პირი, რომელსაც შეეძლო ესარგებლა ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული უფასო პარკირების უფლებით და მისი სამკვიდრო არ არის გახსნილი, დაინტერესებულ პირს მესაკუთრის სახელზე შედგენილი გარდაცვალების მოწმობის და სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების წარდგენის თაობაზე მოწმობის საფუძველზე, მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ რეგისტრაციის თხოვნით, რათა სამკვიდროს გახსნამდე ისარგებლოს ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული უფასო პარკირების უფლებით.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. **ამასთან, დადგენილება ამოქმედდება 2021 წლის 7 ივნისიდან.**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს ხელმძღვანელმა - **გიგა სოფრომაძემ,** კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოადგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების** უზრუნველყოფის 2021-2024 **წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცებას,** რომელშიც განსაზღვრულია კონცეპტუალური ხედვა, პრიორიტეტული სტრატეგიული მიმართულებები და დასახულია კონკრეტული, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში გასატარებელი ღონისძიებები, წარმოადგენს პასუხისმგებელი უწყებების გზამკვლევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა შესაძლო სფეროსა და სივრცეში შშმ პირთა მონაწილეობის პროგრესული ზრდისთვის და ეფუძნება არსებული მდგომარეობის შესწავლას, ითვალისწინებს შშმ პირთა უფლებების გაეროს 2006 წლის კონვენციისა და 2020 წელს მიღებულ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის პრინციპებს.

გიგა სოფრომაძის თქმით, სამოქმედო გეგმა წარმოადგენს პირველ დოკუმენტს, რომლის მიზანია ქ.თბილისის ინკლუზიური განვითარება და მის ყოველდღიურ ცხოვრებაში შშმ პირთა თანაბრად მონაწილეობის უზრუნველყოფა. გეგმა შემუშავებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ შშმ პირების, მათი წარმომადგენლობითი და უფლებადამცველი ორგანიზაციების მონაწილეობით, მერიის შესაბამის სამსახურებთან და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებთან, საკრებულოს შესაბამის კომისიებთან კონსულტაციებით და ასახავს მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და მოთხოვნებს. მისივე თქმით, სამოქმედო გეგმას გააჩნია შემდეგი 4 (ოთხი) სტრატეგიული მიმართულება, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი პრიორიტეტული ამოცანები:

1. მუნიციპალურისერვისების,საზოგადოებრივი ობიექტების და გარემოს მისაწვდომობა;
2. დამოუკიდებელიცხოვრება, ინკლუზია და მონაწილეობა;
3. შშმ პირთა შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდა, პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და შშმ პირთა ინფორმირება;
4. თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მართვა, კოორდინაცია, მონიტორინგი, ანგარიშგება და მონაცემთა წარმოება.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმა ასევე მოიცავს, მითითებული სტატეგიული მიმართულებებისათვის განსაზღვრულ სამოქმედო გეგმას, რაც მოიცავს

თითოეული სტატეგიის შესრულებისათვის დადგენილი ღონისძიების აღწერილობას, მათთვის განსაზღვრულ, შესრულების ვადებს და განხორციელებული ღონისძიებების შედეგებს, მათ ინდიკატორებსა და ღონისძიებებზე პასუხისმგებელ უწყებებს,

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, წარმოდგენილი პროექტის მიმართ გააჟღერა შემდეგი სახის შენიშვნები:

1. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამართლებივი აქტის სახეებია ნორმატიული და ინდივიდუალური აქტი, ხოლო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში მითითებული უნდა იყოს, რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (გამოცემული) იგი.

იმის გათვალისწინებით, რომ **ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათ შორის მუნიციპალურ დაწესებულებებს, საქართველოს კანონით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" ზემოაღნიშნული სახით, დაევალათ სამოქმედო გეგმის შემუშავება, თუმცა არ იქნა დადგენილი კანონისმიერი ვალდებულება - აღნიშნული დელეგირებული უფლებამოსილების ნორმატიული აქტის სახით გამოცემისა, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, პროექტით წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა, ნაცვლად დადგენილების პროექტისა, წარმოდგენილ იქნა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის - განკარგულების სახით და შესაბამისი პუნქტის სახით, განისაზღვროს მისი გასაჩივრების წესი.**

2. კომისიას ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას **საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-19 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი,** რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის ორგანოები, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავებენ ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს.

3. კომისიის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, პროექტით დასამტკიცებელი სამოქმედო გეგმის როგორც სარჩევით განსზღვრული თავების დასახელებები, ასევე, სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისი პრიორიტეტული ამოცანების სათაურები მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში (გახდეს ერთმანეთის იდენტური), მათი დასახელების მითითებისა და შემდგომ აღწერისას.

4. მიზანშეწონილია, სამოქმედო გეგმაში სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დასახელება (აბრევიატურების ნაწილშიც), ასევე, გაიმართოს დასახელები მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებისა და სსიპ-ების აღნიშვნის ნაწილშიც.

აღსანიშნავია, რომ საკითხის წარმომდგენი დაეთანხმა კომისიის მიერ მითითებულ შენიშვნებს და მიმართა კომისიას ინიციატივით, პროექტში შემდეგი ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით:

1. სამოქმედო გეგმის მე-3 თავის - ხედვა და პრინციპები- ნაწილში ჩემატოს შემდეგი სიტყვები:

„მერიის სამსახურებსა თუ მუნიციპალური პროგრამების შესრულების პროცესში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა გონივრული მისადაგების პრინციპის საფუძველზე, მათი საჭიროებების გათვალისწინებით".

2. მომხსენებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია, ამავე ნაწილში ჩაემატოს - ქალაქ თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულებისა და რაიონულ გამგეობების მითითების საკითხი; ხოლო, მე-3 სტრატეგიული მიმართულების ნაწილში ჩაემატოს სიტყვები: „მათი ოჯახების";

3.სამოქმედო გეგმის აღწერისას, ელექტრონული სერვისების ადაპტირების ნაწილში- პასუხისმგებელ უწყებად ჩაემატოს ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო;

4. სამოქმედო გეგმის აბრევიატურებისა და ტექსტის შესაბამის ნაწილში ასევე მიეთითოს ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება".

კომისიის წევრები დაეთანხმნენ საკითხის მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინებით** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ - **თინათინ ნიბლოშვილმა,** საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, კომისიათა გაერთიანებული სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, **კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმი და ასევე,** კომისიის მიერ ინიცირებული **„ქალაქ თბილისში სკოლებს შორის**

ერთჯერადი კონკურსის „პანდემია, როგორც შესაძლებლობა“ ჩატარებისა და შესაბამის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ თბილისის განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების **პროექტი ითვალისწინებს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკოლებს შორის** (როგორც საჯარო ისე კერძო ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის) **კონკურსის სახელწოდებით - „პანდემია, როგორც შესაძლებლობა“ ჩატარებას**, რაც გულისხმობს, 4-5 წევრიანი მოსწავლეების მიერ, პანდემიის თემატიკასთან დაკავშირებით შექმნილი 1.5-3 წუთიანი ხანგრძლივობის ვიდეორგოლების, მოცემული კონკურსისათვის, ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულებით დამტკიცებული ჟიურის მიერ (უსასყიდლოდ) გადარჩევას, შეფასებასა და I, II და III ადგილებზე გასული გამარჯვებულების გამოვლენას, რომელთაც გადაეცემათ პრიზები, კონკურსის მონაწილე მხარდამჭერი სუბიექტების მიერ.

თინათინ ნიბლოშვილის თქმით, კონკურსის ორგანიზებას უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისია, რომელიც არაუგვიანეს 2021 წლის 15 ივნისისა, ქალაქ თბილისის საკრებულოს, დამტკიცების მიზნით, წარუდგენს საკონკურსო ჟიურის წევრობის კანდიდატებს, ხოლო, ჟიურის თავმჯდომარე აირჩევა, ხმათა უმრავლესობით, ჟიურის პირველივე სხდომაზე.

თინათინ ნიბლოშვილმა იქვე დასძინა, რომ პროექტი ასევე ითვალისწინებს, საკონკურსო ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმებს, ჟიურის წევრების უფლება-მოვალეობებს და გადაწყვეტილების მიღების წესს, რითაც **ჟიური ვალდებულია არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივნისისა დაასრულოს I, II და III ადგილზე გასული გამარჯვებულების გამოვლენა.**

როგორც **საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა,** პროექტის თანახმად, კონკურსის ჩატარების საორგანიზაციო საკითხებს უზრუნველყოფს კომისიის სამდივნო; კონკურსის ჩატარების **პროცესს კოორდინაცია გაუწევს** - საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე და საკრებულოს აპარატის უფროსი, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, სკოლის მიერ, **ელექტრონული განაცხადი წარდგენილ იქნება - ელექტრონული სახით შესაბამის ელ-ფოსტაზე,** ხოლო, სააპლიკაციო ფორმა განთავსდება - ქალაქ თბილისის საკრებულოს ვებგვერდზე.

დასასრულს, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა კონკურსის ჩატარების ეტაპებსა და ვადებზე რაც მოიცავს **2021 წლის ივნისი-ივლისის პერიოდს.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიმართ გამოთქვა შემდეგი სახის შენიშვნები:

1. მიზანშეწონილია, პროექტის მიღების თარიღად, ნაცვლად, მაისისისა, მიეთითოს - ივნისი;
2. პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში სრულყოფილი რედაქციით მიეთითოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის N3-6 დადგენილებით დამტკიცებული დებულება (დადგენილების მიღების თარიღისა და ნომრის დამატებით) და აღნიშნული დებულების მე-3 მუხლის კონკრეტული პუნქტი.
3. პროექტით განსაზღვრული კონკურსის წესის შინაარსი გაიმართოს ტექნიკური და სტილისტური თვალსაზრისით;
4. პროექტის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტის შემდგომ, პროექტის ამოქმედების ვადისა და გასაჩივრების წესის განმსაზღვრელი აბზაცები, მიეთითოს პროექტის მე-2 და მე-3 პუნქტების სახით.

საკითხის მომხსენებელმა კომისიას მიმართა ინიციატივით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტში შემდეგი სახის ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით:

1. მომხსენებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნას სიტყვა „ავტორიტეტული" და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით;
2. პროექტის პირველ პუნქტში ჩაემატოს სიტყვა „თავმჯდომარე" და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით;
3. პროექტიდან ამოღებულ იქნას პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტი.

კომისიის წევრებმა და საკითხის მომხსენებელმა გაიზიარეს პროექტის მიმართ გამოთქმული მოსაზრებები/შენიშვნები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული მოსაზრებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ,,დაუმთავრებელი მშენებლობის

დასრულების მიზნით, მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა N 51 (ს/კ N01.10.15.023.027; N01.10.15.023.006; N01.10.15.023.018; N01.10.15.023.026) დაინტერესებული პირების - შპს „საირმე პალასის" (ს/ნ 404888092), შპს „აქსის გრუპის" (ს/ნ 404954117), შპს „აქსისის"(ს/ნ211393357) მიმართ, ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N26 (ს/კ N01.10.17.002.006) დაინტერესებული პირის - იმა „აქსისი პალასი 2"-ის (ს/ნ 205090391) მიმართ, ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N12 (ს/კ N01.10.17.002.022) დაინტერესებული პირის - იმა „აქსისი პალასი"-ს (ს/ნ 205041033) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

დასაწყისისთვის, **კომისიის თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის **N59** დადგენილების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 მაისის **N21.684.796** განკარგულება და შესაბამისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის **N10** ოქმი.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებითმიმართეს დაინტერესებულმა პირებმა - **შპს „საირმე პალასი", შპს „აქსის გრუპი", შპს „აქსისი", იმა „აქსისი პალასი 2", იმა „აქსისი პალასი"** და **მოითხოვეს მისამართებზე** - ქ. თბილისი, **საირმის ქუჩა N 51**; ქ. თბილისი, **სულხან ცინცაძის ქ N26** და ქ. თბილისი, **სულხან ცინცაძის ქ. N12 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება.**

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ კომისიამ 2021 წლის 24 მაისის სხდომაზე განიხილა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, რა დროსაც **გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, **საირმის ქუჩა N51** - ნებართვა გაცემულია 2008 წლის 12 მაისს. არსებული ნებართვის ფარგლებში სამშენებლო ობიექტზე:

ა.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) **კ1= 0.5;**

ა.ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) **კ2= 3.9;**

ა.გ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) **კ3=0.3;**

ბ) მისამართზე - ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N26 - ნებართვა გაცემულია 2005 წლის 29 ივლისს. არსებული ნებართვის ფარგლებში სამშენებლო ობიექტზე:

ბ.ა) (კ-1) კ1= 0.8;

ბ.ბ) (კ-2) კ2= 5.1;

ბ.გ) (კ-3) კ3=0.1;

გ) მისამართზე - ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N12 - მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2006 წლის 1 დეკემბერს. არსებული ნებართვის ფარგლებში სამშენებლო ობიექტზე:

გ.ა) (კ-1) კ1= 0.7;

გ.ბ) (კ-2) კ2= 5.6;

გ.გ) (კ-3) კ3=0.1;

დ) დაუმთავრებელი მშენებლობის ფართის სახით გასაცემ ვალდებულებებთან მიმართებაში დაინტერესებულ პირებს წარმოდგენილი აქვთ დაზარალებულ პირთა სია შესაბამისი თანდართული ხელშეკრულებებით და შპს ,,ეიჯი ინთერნეიშენალ ქონსალტინგის" მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნები - (გადასაცემი ფართების ვალდებულების დათვლა და ანალიზი 2021 წლის 13 მაისის მდგომარეობით) - მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმის ქუჩა N 51; სულხან ცინცაძის ქ. N26; სულხან ცინცაძის ქ. N12 ;

ე) შპს ,,ეიჯი ინთერნეიშენალ ქონსალტინგის" მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნის მიხედვით:

ე.ა) მისამართზე - ქ. თბილისი, საირმის ქუჩა N51 - ფართის სახით (საცხოვრებელი და კომერციული - 141 ერთეული) გასაცემი ვალდებულება შეადგენს 12 162 კვ.მ-ს;

ე.ბ) მისამართზე - ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა N26 - ფართის სახით (საცხოვრებელი და კომერციული - 153 ერთეული) გასაცემი ვალდებულება შეადგენს 14 127,18 კვ.მ-ს;

ე.გ) მისამართზე - ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა N 12 - ფართის სახით (საცხოვრებელი და კომერციული - 207 ერთეული) გასაცემი ვალდებულება შეადგენს 22644 კვ.მ-ს;

3) წარდგენილი განაცხადების მიხედვით, 13 პირის მიმართ თანხის სახით გასაცემი ვალდებულებები შეადგენს ჯამურად 302 597.46 აშშ დოლარს, 33 689.21 ევროს და 16 806.52 ლარს, რის დასადასტურებლადაც განმცხადებელმა წარადგინა დოკუმენტები.

ზ) ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით დაინტერესებული პირების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ასევე, დგინდება:

ზ.ა) სს,,ბანკი ქართუს" მიმართ საკრედიტო დავალიანება შეადგენს 3 500 896.24 ლარს;

ზ.ბ) სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიმართ იმა საელჩო 2005-ის დავალიანება შეადგენს 850 000 აშშ დოლარს, რის გამოც იპოთეკის უფლება ვრცელდება მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა N 51/53, (ს/კ 01.10.15.023.027; 01.10.15.023.026).

თ) **დაინტერესებულ პირებს მისამართებზე:** ქ. თბილისი, საირმის ქუჩა N 51; ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N26; ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ N 12 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის წარმოდგენილი აქვთ სამივე მისამართზე ერთობლივი წინადადება და ფინანსურ-ეკონომიკური მოდელი, რომლის ფარგლებშიც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ითხოვენ შემდეგი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენებას:

თ.ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას:

თ.ა.ა) მისამართზე - ქ. თბილისი, საირმის ქუჩა N51– (კ-2) 4.5;

თ.ა.ბ) მისამართზე - ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N26 - (კ-2) 5.6;

ი) როგორც დაინტერესებული პირები განმარტავენ, საექსპერტო-ტექნიკური დასკვნის გათვალისწინებით, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება მიზანშეწონილი არ არის მისამართზე - ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. N 12- არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში. შესაბამისად აღნიშნული სამშენებლო ობიექტის დასრულებისა და დაზარალებულთა დაკმაყოფილებისთვის მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2)-ის გადამეტება გათვალისწინებულია მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმის ქ N 51 და სულხან ცინცაძის ქ N 26, წარმოდგენილი ფინანსურ-ეკონომიკური მოდელის შესაბამისად;

კ) ამასთან, მიწის ნაკვეთის განაშენიამიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში, სამშენებლო ობიექტებზე (მისამართებზე: - 1. ქ. თბილისი, საირმეს ქუჩა N 51– (კ-2) 4,5;2. ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ N 26 - მეოთხე, მეექვსე ბლოკი) - (კ-2) 5,6) საჭიროა კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება:

კ.ა) სიმაღლის და ავტოფარეხების რაოდენობის განმსაზღვრელ სტანდარტების გათვალისწინების გარეშე;

კ.ბ) ინსოლაციაზე გავლენის შეფასების გარეშე.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ:

ა) არსებული სამშენებლო ობიექტების ფარგლებში **დაზარალებულია 500-ზე მეტი ოჯახი,** რომელიც ათეულ წელზე მეტია ელოდება მშენებლობის დასრულებას;

ბ) მხარდამჭერი ღონისძიებების გარეშე კომპანიებს არ გააჩნიათ რესურსი მშენებლობების დასრულებისთვის,

კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ზემოხსენებული სამშენებლო ობიექტების მიმართ გამოყენებულ იქნას დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები.

თავმჯდომარის თქმით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მთავრობამ გადაწყვიტა:

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, საირმის ქუჩა N 51 - **შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით (კ-2)- 4.5.** აღნიშნულ მისამართზე:

ა.ა) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს სიმაღლის და ავტოფარეხების რაოდენობის მიმართ არსებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე;

ა.ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს ინსოლაციაზე გავლენის შეფასების გარეშე;

ბ) მისამართზე - ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ N 26 – **შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით (კ-2)- 5.6.** აღნიშნულ მისამართზე:

ბ.ა) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს სიმაღლის და ავტოფარეხების რაოდენობის მიმართ არსებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე;

ბ.ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს ინსოლაციაზე გავლენის შეფასების გარეშე;

გ) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შემუშავებული და დამტკიცებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად, სარეალიზაციო ფართების განკარგვა და უფლებრივად დატვირთვა (მათ შორის, იპოთეკა) დასაშვებია მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N10 ოქმით გათვალისწინებულ დაზარალებულთა მიმართ ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი სამშენებლო ფართის მშენებლობის დასრულების შემდეგ.ა მასთან, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ იმ სარეალიზაციო (თავისუფალი) ფართების განკარგვა/უფლებრივად დატვირთვა, რომელსაც ააშენებს და მოიყვანს არანაკლებ კარკასულ მდგომარეობაში, წარმოდგენილი განკარგულების პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით. ასევე, შესაძლებელია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს თანხმობით განისაზღვროს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შედეგად მომატებული ფართების უფლებრივად დატვირთვის და/ან განკარგვის განსხვავებული

წესი,რომელიც გულისხმობს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის გადამეტებული კოეფიციენტის (კ-2) ფარგლებში არსებული ფართების განკარგვას ან უფლებრივად დატვირთვას, იმ პროპორციით, რა პროპორციითაც დაინტერესებული პირი დაზარალებულებისათვის ვალდებულების ფარგლებში გადასაცემ ასაშენებელ ფართებს მიიყვანს არანაკლებ კარკასულ მდგომარეობამდე (მაგ. თუ დაინტერესებულ პირს სამივე სამშენებლო ობიექტზე ვალდებულების სახით გასაცემი აქვს ფართები 1000 კვ.მ- ის ოდენობით. ხოლო მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის გადამეტებული კოეფიციენტი (კ-2) მოიცავს ფართებს ჯამურად 300 კვ.მ-ის ოდენობით, აღნიშნული 1000 კვ.მ-დან ფართის ნახევრის - 500 კვ.მ-ის კარკასულ მდგომარეობამდე მიყვანის შემთხვევაში, განკარგვის უფლებით გამოთავისუფლდება, შესაბამისად 300 კვ.მ- ის ფართის ნახევარი, ანუ 150 კვ.მ);

დ) წარმოდგენილი განკარგულების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **დაინტერესებული პირისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შეთანხმებით, დაინტერესებული პირის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, შესაძლებელია სარეალიზაციო ფართები უფლებრივად დაიტვირთოს საბანკო პირობებიანი იპოთეკით;**

ე) ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმის ქუჩა N51, ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქ N26, ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ N12 არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მოამზადოს და დაინტერესებულ პირთან გააფორმოს ხელშეკრულება წარმოდგენილი განკარგულების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნას საჯარო რეესტრში და ფიქსირდებოდეს შესაბამისი უძრავი ნივთების ამონაწერებში. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს და შეზღუდვა დარეგისტრირებულ იქნას შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, თუმცა არაუგვიანეს ნებართვის საფუძველზე ინდივიდუალური (განშლილი) ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება (შეზღუდვის რეგისტრაცია) განისაზღვრება შესაბამისი მშენებლობის ნებართვის პირობად. წარმოდგენილი განკარგულების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულება დადასტურებულ უნდა იქნას შესაბამისი საექსპერტო დასკვნით, რომელიც გაცემულ უნდა იქნას სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ;

ვ) **დაინტერესებულმა პირმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის** საკრებულოსთან **შეთანხმების შემთხვევაში, კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის აღება უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში;**

ზ) წარმოდგენილი განკარგულების პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას;

თ) დაინტერესებულმა პირმა სარეალიზაციო ფართების განკარგვა მოახდინოს წარმოდგენილი განკარგულების პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით;

ი) დაინტერესებულმა პირმა, მშენებლობის ნებართვის აღებამდე, წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განკარგულების პრეამბულაში უნდა მიეთითოს განკარგულების თარიღი და ნომერი. ასევე, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის შესავალში განხორციელდეს მცირე ტექნიკური ცვლილება და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

კომისიის თავმჯდომარის მითითებით სასურველია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის „გ" და „ზ" ქვეპუნქტი გასწორდეს ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გარდა ამისა, **ლევან ჟორჟოლიანის** თქმით, სასურველია ტექნიკურად გაიმართოს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, საკრებულოს წევრის - ლევან ხაბეიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე საკითხი.

ლევან **ჟორჟოლიანის** განმარტებით, 2020 წლის 14 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი წერილით წარმოედგინა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 11 დეკემბრის N3-1ს დადგენილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტის მიერ ცნობილ იქნა ლევან ხაბეიშვილის, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. მისივე თქმით, აღნიშნული წერილი საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით დაეწერა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.

როგორც **თავმჯდომარემ** აღნიშნა, 2020 წლის 15 დეკემბერს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე კომისიამ ლევან ხაბეიშვილისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით თანამდებობრივი შეუთავსებლობის საფუძვლით დაწყებული წარმოება შეაჩერა შემდეგი მიზეზით/საფუძვლით: ქ.თბილისის საკრებულოს აცნობა ლევან ხაბეიშვილმა და მიაწოდა ინფორმაცია, რომ მიმართა საქართველოს პარლამენტს უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით. შესაბამისად იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ითვალისწინებდა/ითვალისწინებს, შესაბამის სამართლებრივ პროცედურებს, კერძოდ, რეგლამენტის მე–6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს დადგენილებით წყვეტს პარლამენტი, ლევან ხაბეიშვილისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით თანამდებობრივი შეუთავსებლობის საფუძვლით დაწყებული წარმოება, რასაც საფუძვლად დაედო მისი, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობა, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შეჩერებულიყო საქართველოს პარლამენტის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე განმარტა, რომ მ/წლის 31 მაისს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა - ლევან ხაბეიშვილმა შესაბამისი წერილით მიმართა ამავე საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც შემდგომი რეაგირების მიზნით დაეწერა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას.

როგორც **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ განმარტა,** აღნიშნული წერილის მიხედვით მ/წლის 31 მაისს, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, საარჩევნო ბლოკის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია" პარტიული სიით არჩეული პარლამენტის წევრების მიერ შეიქმნა საპარლამენტო ფრაქცია, რომლის რეგისტრაციის თაობაზე ამავე დღეს პარლამენტში წარდგენილი იქნა განცხადება. აღნიშნული საპარლამენტო ფრაქციის წევრი არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - **ლევან ხაბეიშვილი.**

დასასრულს **ლევან ჟორჟოლიანმა** აღნიშნა, რომ **ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლევან ხაბეიშვილმა დაიკავა კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე, რეგლამენტის გათვალისწინებით, უნდა იმსჯელოს მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის თაობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ვინაიდან, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლევან ხაბეიშვილმა დაიკავა კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა,** საკრებულომ უახლოეს სხდომაზე უნდა იმსჯელოს ლევან ხაბეიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი **ნინო ჯალაღანია**